CARGO PARSEL LTD
ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. #4 მიმდებარედ
შპს კარგო პარსელი
Georgia, Batumi, Maiakovski st.4
ს/კ 405341063 T. 599 11 31 15 / e-mail: info@cp.ge

#13/21

21.09.2021 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ქალბატონო/ბატონო,

გაცნობებთ, რომ შპს „კარგო პარსელ"-ს დაგეგმილი აქვს სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიის შესაძლებლობებიდან გამომდინარე არსებულ ტვირთებს დაამატოს განსხვავებული ტიპის მშრალი (მათ შორის ნაყარი) ტვირთები და გაზარდოს საქმიანობა. კერძოდ, სასაწყობე მეურნეობაში დამატებით გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტის, ქიმიური პროდუქტის და საწვავი წიაღისეულის სახეობის მშრალი ტვირთების დროებით დასაწყობება.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' I დანართის 29-ე პუნქტის მიხედვით 1 000 მ³ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის (გზშ-ის პროცესში სკოპინგის განცხადება და სკოპინგის ანგარიში) მოთხოვნების მიხედვით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ შპს „კარგო პარსელი"-ს მშრალი ტვირთების ღია სასაწყობე მეურნეობის, მათ შორის წიაღისეული საწვავის, დანავთობპროდუქტის და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

*დანართები:*

1. შპს „კარგო პარსელი"-ს მშრალი ტვირთების ღია სასაწყობე მეურნეობის, მათ შორის წიაღისეული საწვავის, დანავთობპროდუქტის და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;
2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

შპს „კარგო პარსელი"-ს დირექტორი: იოსებ პატარაია

№ 17052
"21" 09 2021